ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომის

ოქმი №9

ქ. ახმეტა 6 მარტი, 2017 წელი

თავმჯდომარეობდა: თამაზ წითელაური -ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

სხდომას ესწრებოდნენ: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: გ. ქიტესაშვილი, თ. ზოდაველი, ა. შათირიშვილი, გ. შორთიშვილი, გ.ჯუგაშვილი, დ. მურთაზაშვილი, თ. ყეინიშვილი, ვ. დედაბრიშვილი, რ. ბაღაკაშვილი. თ. ბორჩაშვილი, ა. მარუქაშვილი, ლ. გოგოთიძე, ნ. აბალოიძე, ბ. ჭიჭიკლიშვილი, ც. გრძელივანიშვილი, მ. ალხანაშვილი, ა. ფიცხელაური, გ. მაისურაძე, ი. უჯირაული, ა. ნახუცრიშვილი, ზ. გარსევანიძე, ს. იჭირაული, ა. ძეგველიშვილი, გ. უძილაური ნ. ღუბიანური, ზ. ქინქლაძე.

სხდომა გაიხსნა 10[00] საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ გახსნა სხდომა და დამსწრე პირებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. „ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2017 წლის პროგრამისა და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 იანვრის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

/მომხსენებელი - ნათელა ექვთიმიშვილი/

2. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ქ.ახმეტაში, ჭავჭავაძის ქ. N15-ში მდებარე შენობის პირველი და მეორე სართულის მარჯვენა ფლიგერის უსასყიდლო უზუფრუქტით, ხუთი წლის ვადით ა(ა)იპ „ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრისათვის“ გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი-ლუხუმი შეთეკაური/

3. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფ. ზ. ალვანში, კულტურის სახლის შენობაში მდებარე 345.2 კვ.მ საიჯარო ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით ააიპ სპორტული კლუბი „თუშეთი“-ს ფუნქციონირებისათვის გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი-ლუხუმი შეთეკაური/

4. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ს. ჩაჩხრიალაში მდებარე 10629 კვ.მ სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით კოოპერატივ „მოდი მნახე“-ს ფუნქციონირებისათვის გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი-ლუხუმი შეთეკაური/

5. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული სოფელ ჩაჩხრიალის ტერიტორიაზე მდებარე 1215 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საწყისი საპრივატიზებო ღირებულების 45%-ით შემცირების შესახებ;

/მომხსენებელი-მზია ბექაური/

6. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული სოფელ ოჟიოში მდებარე 210 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საბავშვო ბაღის ყოფილი საქვაბის ტერიტორია) საწყისი საპრივატიზებო ღირებულების 45%-ით შემცირების თაობაზე დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი-მზია ბექაური/

დღის წესრიგთან დაკავშირებით ლევან გოგოთიძემ თქვა, რომ დღის წესრიგში სურს საკითხის ჩამატება, კერძოდ : **ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ**

კანონის შესაბამისად, საკრებილოს წევრების სამკაციანმა ჯგუფმა (ლ. გოგოთიძე, გ. უძილაური, ბ, ჭიჭიკლიშვილი) საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატად დაასახელა **თამარ ყეინიშვილი**

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა თამარ ყეინიშვილს თანახმაა თუ არა მისი კანდიდატურის საკრებულოს თავმჯდომარედ დაყენების, რაზეც მან დადებითი პასუხი გასცა.

თამაზ წითელაურმა იკითხა სურთ თუ არა საკრებულოს წევრებს სხვა კანდიდატის დასახელება.

დამსწრე წევრებს სხვა კანდიდატის დასახელების სურვილი არ გამოუთქვამთ.

საკრებულოს თავმჯომარედ დასახელდა ერთი კანდიდატურა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა შეცვლილი დღის წესრიგის მიღებას, რასაც ყველა დამსწრე ყველა წევრი დაეთანხმა.

აპარატს დაევალა შესაბამისი ბიულეტინების დაბეჭდა.

~~მოისმინეს:~~ „ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2017 წლის პროგრამისა და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 იანვრის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

/მომხსენებელი - ნათელა ექვთიმიშვილი/

მომხსენებელმა დამსწრე წევრებს გააცნო საკითხი:

დადგენილების პროექტზე: „ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2017 წლის პროგრამისა და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 იანვრის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ნორმატიული აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ნორმატიული აქტის პროექტის მიღების მიზეზი:

ნორმატიული აქტის პროექტის მიღება გამოწვეულია პროგრამის დახვეწის მიზნით ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2017 წლის პროგრამაში ცვლილების შეტანის აუცილებლობით.

ა.ბ) ნორმატიული აქტის პროექტის მიზანი:

ახმეტის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა აუცილებელ ღონისძიებად მიიჩნევს მუნიციპალური სოციალური პროგრამის განხორციელებისას ბენეფიციარების და განმცხადებლებისათვის პროგრამით სარგებლობის გამარტივებას.

ა.გ) ნორმატიული აქტის პროექტის ძირითადი არსი:

აღნიშნული სოციალური პროგრამა მიღებულია 2017 წლის 26 იანვარს, რომლის ამოქმედების თარიღადაც მითითებულია ,,გამოქვეყნებისთანავე". 26 დღიანი პერიოდის სამართლებრივ რეჟიმში მოსაქცევად ამოქმედების მუხლში მიეთითა ,,1 იანვრიდან წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობა';

სამართლებრივი ტექნიკის თვალსაზრისით დამუშავდა და პუნქტებად ჩამოყალიბდა მე-5 და მე-6 მუხლის სათაურთან თანხვედრაში არსებული დებულება.

დანართ 1-ში და დანართ 2-ში სიტყვა ,,სამამულო ომის ვეტერანები" შეიცვალა სიტყვით ,,მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები";

,,განსაკუთრებული შემთხვევის" მუხლში დაკონკრეტდა აღნიშნული მუხლის გავრცელების წრე;

შშმ პირთათვის და უდედმამო ბავშვებისათვის აღნიშნული პროგრამის მიზნებისათვის ასაკობრივი ზღვარი დაწესდა 18 წლამდე;

პროგრამას დაემატა ახალი 7[1] მუხლი ,,სოციალური დახმარების მისაღებად საჭირო დოკუმენტაცია"--თითოეული პროგრამით სარგებლობისათვის საჭირო დოკუმენტაციის სრული ჩამონათვალით.

ბ) ნორმატიული აქტის პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ნორმატიული აქტის პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გაღებას ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) ნორმატიული აქტის პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;~:

ნორმატიული აქტის პროექტის მიღება მოახდენს გავლენას ახმეტის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ნორმატიული აქტის პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ნორმატიული აქტის პროექტის მიღება მოახდენს გავლენას ახმეტის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

გ) ნორმატიული აქტის პროექტის ავტორი და ინიციატორი:

გ.ა) ნორმატიული აქტის პროექტის ავტორია ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობა

ციური გრძელივანიშვილმა უთხრა მომხსენებელს, რომ ქისტაურში არის ძალიან გაჭირვებული ოჯახი, ყავთ ოთხი ბავშვი, არ აქვთ სახლი და არ ყოფნით სოც. დახმარება. ითხოვენ სათნოების სახლიდან საკვებს, რაზეც იღებენ უარს. მომხსენებელმა თქვა, რომ გაარკვევდა ამ საკითხს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის მიღება, რასაც დამსწრე ყველა წევრი დაეთანხმა.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №6 –„ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2017 წლის პროგრამისა და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 იანვრის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

~~მოისმინეს~~:ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ქ.ახმეტაში, ჭავჭავაძის ქ. N15-ში მდებარე შენობის პირველი და მეორე სართულის მარჯვენა ფლიგერის უსასყიდლო უზუფრუქტით, ხუთი წლის ვადით ა(ა)იპ „ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრისათვის“ გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი-ლუხუმი შეთეკაური/

მომხსენებელმა დამსწრე პირებს გააცნო საკითხი:

მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობას განახორციელოს, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ქ.ახმეტაში, ჭავჭავაძის ქ. N15-ში მდებარე შენობის პირველი და მეორე სართულის მარჯვენა ფლიგერის (საკადასტრო კოდი - 50.04.49.001) ხუთი წლის ვადით ა(ა)იპ „ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრისათვის“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემა:

საკითხის ირგვლივ შეკითხვები და შენიშვნები არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის მიღება, რასაც დამსწრე ყველა წევრი დაეთანხმა.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო გაანკარგულება №5 – ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ქ.ახმეტაში, ჭავჭავაძის ქ. N15-ში მდებარე შენობის პირველი და მეორე სართულის მარჯვენა ფლიგერის უსასყიდლო უზუფრუქტით, ხუთი წლის ვადით ა(ა)იპ „ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრისათვის“ გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

~~მოისმინეს~~ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფ. ზ. ალვანში, კულტურის სახლის შენობაში მდებარე 345.2 კვ.მ საიჯარო ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით ააიპ სპორტული კლუბი „თუშეთი“-ს ფუნქციონირებისათვის გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი-ლუხუმი შეთეკაური/

ლუხუმი შეთეკაურმა დამსწრე საკრებულოს წევრებს განუმარტა საკითხი:

მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობას განახორციელოს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფ. ზ. ალვანში, კულტურის სახლის შენობაში,

პირველ სართულზე მდებარე 186.60კვმ და მეორე სართულზე მდებარე 158.6 კვ.მ საიჯარო ფართების (ს/კ 50.01.35.421) პირდაპირი განკარგვის წესით, ააიპ სპორტული კლუბი „თუშეთის“ ფუნქციონირებისათვის იჯარის ფორმით გადაცემა.

გოჩა ქიტესაშვილმა თქვა, რომ კომისია წინააღმდეგია ამ საკითხის, ვენ ვითხოვთ ეს გაიჯარდეს საჯარო აუქციონის წესით. ამ აზრს ყველა საკრებულოს წევრი დაეთანხმა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი მიღება და საკრებულოს წევრებმა ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება საკითხს არ დაუჭირონ მხარი.

საკითხი არ გავიდა.

~~მოსმინეს~~ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ს. ჩაჩხრიალაში მდებარე 10629 კვ.მ სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით კოოპერატივ „მოდი მნახე“-ს ფუნქციონირებისათვის გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი-ლუხუმი შეთეკაური/

მომხსენებელმა განმარტა პროექტი:

მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობას განახორციელოს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფ. ჩაჩხრიალაში მდებარე 10629 კვ.მ სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართის (ს/კ 50.13.31.053) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით კოოპერატივ „მოდი მნახე“-სათვის გადაცემა.

გიორგი უძილაური: რა ადგილია ეს? რას ემსახურება?

განმცხადებელბა, ალბერტი შაშიაშვილმა განმარტა, რომ ეს ადგილი მან უნდა გაასუფთაოს და დათესოს იონჯა, ეს იქნება კოპერატივი და დასაქმებულები იქნებიან ადგილობრივი მოსახლეობა.

გელა ჯუგაშვილი: ადრე იყო შემოტანილი მსგავსი განცხადება გვერდით ნაკვეთზე და იქნა დაკმაყოფილებული, ბატონ ალბერტის იმდენი სიკეთე აქვს გაკეთებული ჩვენი რაიონისთვის რომ ერთი ჰექტარი მიწა რომ მივცეთ არაფერი დაშავდება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი მიღება: 23 მომხრე.

4 თავი შეიკავა.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება №6 – ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ს. ჩაჩხრიალაში მდებარე **10629** კვ.მ სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით კოოპერატივ „მოდი მნახე"-ს ფუნქციონირებისათვის გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

~~მოისმინეს~~ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული სოფელ ჩაჩხრიალის ტერიტორიაზე მდებარე 1215 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საწყისი საპრივატიზებო ღირებულების 45%-ით შემცირების შესახებ;

/მომხსენებელი-მზია ბექაური/

მომხსენებელმა დარბაზს განუმარტა პროექტი:

შემცირდეს სოფელ ჩაჩხრიალას ტერიტორიაზე მდებარე მუნიციპალური საკუთრების ელექტრონული აუქციონის წესით საპრივატიზებოდ წარდგენილი და გაუყიდავი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1215 კვმ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი №50.24.31.069) საწყისი საპრივატიზებო ღირებულება (ექვსი ათას სამოცდა თხუთმეტი ლარი) 45 %-ით და განისაზღვროს 3342 (სამი ათას სამას ორმოცდა ორი) ლარით

საკითხის ირგვლივ შეკითხვები და შენიშვნები არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი მიღება: 25 მომხრე.

2 თავი შეიკავა.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება №7 – ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული სოფელ ჩაჩხრიალის ტერიტორიაზე მდებარე 1215 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საწყისი საპრივატიზებო ღირებულების 45%-ით შემცირების შესახებ;

~~მოისმინეს~~–ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული სოფელ ოჟიოში მდებარე 210 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საბავშვო ბაღის ყოფილი საქვაბის ტერიტორია) საწყისი საპრივატიზებო ღირებულების 45%-ით შემცირების თაობაზე დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი-მზია ბექაური/

მომხსენებელმა დარბაზს განუმარტა პროექტი:

შემცირდეს სოფელ ოჟიოში მდებარე მუნიციპალური საკუთრების ელექტრონული აუქციონის წესით საპრივატიზებოდ წარდგენილი და გაუყიდავი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 210 კვმ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი №50.12.34.256 საწყისი საპრივატიზებო ღირებულება - 5250 ლარი) საწყისი საპრივატიზებო ღირებულება 45%-ით და განისაზღვროს 2888 ლარით.

საკითხის ირგვლივ შეკითხვები და შენიშვნები არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი მიღება: 26 მომხრე.

1 თავი შეიკავა.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება №8 – ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული სოფელ ოჟიოში მდებარე 210 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საბავშვო ბაღის ყოფილი საქვაბის ტერიტორია) საწყისი საპრივატიზებო ღირებულების 45%-ით შემცირების თაობაზე დამტკიცების შესახებ;

~~მოისმინეს~~ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ

თავმდომარეობის კანდიდატად დასახელებულია თამარ ყეინიშვილი;

გაიმართა ფარული კენჭისყრა.

კენჭისყრაში რეგისტრაცია გაიარა 27-მა საკრებულოს წევრმა;

რეგისტრაციის დროს სხდომას შემოემატა ალექსი მაილაშვილი.

დაითვალა ხმები: 26 მომხრე, 1 ხმა გაბათილდა.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ თავმჯდომარედ აირჩია თამარ ყეინიშვილი.

თამარ ყეინიშვილმა დიდი მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას თანადგომისთვის.

საკრებულოს სხდომა დაიხურა 12[25] საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარის

მოვალეობის შემსრულებელი: თამაზ წითელაური.